სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ზეთისხილის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა
ზეთისხილის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა სოფელ საქობოში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი, კახეთის რეგიონი) ცოტა ხნის წინ. მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, პროექტის, რომელსაც ახორციელებს კომპანია „ქართული ზეთისხილი“, საერთო საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 5 მლნ ლარს შეადგენს. „ეს არის დიასპორული ინვესტიცია. ჩვენმა თანამემამულემ, რომელმაც ქვეყანა დატოვა, გააკეთა ინვესტიცია და გააშენა 200 ჰა-ზე მეტი ზეთისხილის პლანტაცია", განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საწარმოში სტუმრობისას. როგორც ბიზნესმენმა გიორგი სვანიძემ თქვა, 250 000 ძირი ზეთისხილის ხე დაირგო და გადამამუშავებელი საწარმო აშენდა პროექტის ფარგლებში. პროდუქცია განკუთვნილია ადგილობრივი ბაზრის და ექსპორტისთვის. მთავრობის ადმინისტრაციაში აღნიშნეს, რომ „ქართულმა ზეთისხილმა“ ააშენა საწარმო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან თანამშრომლობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში.
Sarke Information News, 28 მარტი, 2016

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა
დღევანდელ შეხვედრაზე მთავრობამ დაამტკიცა ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. პროგრამის ღირებულება შეადგენს 360 000 ლარს. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, „პროგრამა საშუალებას მისცემს მესაქონლეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს არა მხოლოდ მოაწყონ რძის შემგროვებელი პუნქტები, არამედ უზრუნველყონ რძის ხარისხის ტესტირების 40 000 – 75 000 ლარამდე ღირებულების ტექნიკით". ამჟამად მოქმედებს 30 ასეთი კოოპერატივი, აღნიშნა მან. საქმე ეხება მცირე საველე ლაბორატორიების გადაცემას აღნიშნული კოოპერატივებისთვის. „ეს პროგრამა ხელს შეუწყობს მათ არა მხოლოდ შეაგროვონ რძე ადგილობრივად და მიაწოდონ უფრო მსხვილ მწარმოებლებს, არამედ აწარმოონ რძის პროდუქტები და დაიწყონ ყველის წარმოება თავად", განაცხადა პრემიერმა.
Sarke Information News, 25 მარტი, 2016

ENPARD II-ის ფარგლებში დაგეგმილია კიდევ 5 მუნიციპალიტეტის იდენტიფიცირება
სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ საპილოტე პროექტი ENPARD II-ის (ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მეორე სამეზობლო პროგრამა) ფარგლებში წარმატებით ხორციელდება ბორჯომის, ყაზბეგისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. უახლოეს მომავალში კიდევ 5 მუნიციპალიტეტის იდენტიფიცირებაა დაგეგმილი, განაცხადეს სამინისტროში. ამის შესახებ ისაუბრეს სამუშაო შეხვედრაზე Mercy Corps-ის ექსპერტებთან, რომელიც ჩატარდა სამინისტროში

დღეს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს ENPARD II-ს პარტნიორი ორგანიზაციების, მათ შორის Mercy Corps-ის, ტექნიკური დახმარებით. შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსია უკვე მზად არის და წარდგენილია სხვა სამინისტროებში იმისათვის, რომ მათი მოსაზრებები გახდეს ცნობილი.
Sarke Information News, 25 მარტი, 2016

ევროკავშირის ბაზარი ღიაა ქართული თაფლისთვის
„ბაზარი ღიაა ქართული თაფლისთვის", განაცხადა ევროკომისარმა ვაჭრობის დარგში სესილია მალმსტრომმა. „თუმცა, თქვენი თაფლი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის სტანდარტებს" - აღნიშნა მან. „ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ თქვენ მთავრობასთან. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისობას“, განაცხადა მალმსტრომმა. „რაც შეეხება თაფლს, მას აქვს კარგი პოტენციალი, მაგრამ არსებობს ევროკავშირში ექსპორტის გარკვეული ტექნიკური მოთხოვნები და ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხებზე“, აღნიშნა ევროკომისარმა თბილისში ვიზიტის ფარგლებში. სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი ომარ კაჭარავა აღნიშნავს, რომ ევროკავშირის წლიური კვოტა ქართული თაფლისთვის 2013 წელს შეადგენდა 1 500 ტონას, 1 წელი-წადში გაიზარდა 2 000 ტ-მდე. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ კვოტა გაუქმდა, აღნიშნავს ის.
Sarke Information News, 23 მარტი 2016

„საქართველოს თაიგული“ დააარსებს ჩაის გადამამუშავებელ საწარმოს ოზურგეთში
მთავრობის განკარგულებით შპს „საქართველოს თაიგული“ ჩაის გადამამუშავებელ საწარმოს გახსნის ოზურგეთში (გურია). ამ მიზნით 6 912 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი სოფელ დვაბზუში გადაეცა კომპანიას პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად - 1 ლარად სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. სანაცვლოდ, კომპანია ვალდებულებას იღებს გახსნას ჩაის გადამამუშავებელი საწარმო 2 წლის განმავლობაში და მოახდინოს მინიმუმ 38 708 ლარის ინვესტირება (ამ თანხის 25% უნდა ჩაიდოს პირველი წლის განმავლობაში). წლიური გამომუშავების შემოთავაზებული მოცულობაა სულ მცირე 20 000 კგ. შპს „საქართველოს თაიგული“ რეგისტრირებულია 2003 წლის მარტში. მისი მფლობელები არიან პავლე ხომერიკი და ილარიონ ბასილაშვილი, თითოეულს ეკუთვნის 50%.
Sarke Information News, 18 მარტი, 2016

NOCCIOLA GEORGIA თხილის გადამამუშავებელ საწარმოს გახსნის სენაკში
საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, შპს *Nocciola Georgia* სენაკის მუნიციპალიტეტში (სამეგრელოს რეგიონი) თხილის გადამამუშავებელ საწარმოს გახსნის. ამ მიზნით კომპანიას, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სოფელ მენჯში მდებარე 3 678 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-ბის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 171,7 კვ.მ შენობა-ნაგებობა პირდაპირი მიყიდვის წესით - 1 ლარად გადაეცა. კომპანიამ უნდა მოახდინოს 2 წლის განმავლობაში მინიმუმ 186 400 ლარის ინვესტირება, რომლის 25% უნდა ჩაიდოს პირველი წლის განმავლობაში. წლიური გამომუშავების შემოთავაზებული მოცულობა დარჩეული თხილისთვის უნდა იყოს მინიმუმ 200 ტ მაინც.
Sarke Information News, 18 მარტი 2016

2017 წელი საქართველოს წლად გამოცხადდება ბორდოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით 2017 წელი გამოცხადდება ბორდოში (საფრანგეთი) საქართველოს, როგორც ღვინის აკვანის, წლად. შესაბამის შეთანხმებას ხელი მოეწერა ბორდოს ღვინის და ცივილიზაციის ცენტრთან. გარდა ამისა, ქართული ღვინის კუთხე გაიხსნება მარსელში ევროპული და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციების მუზეუმში, განაცხადეს სამინისტროში. 2016 წლის ბოლოს საქართველო გეგმავს წარადგინოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროდუქცია სავაჭრო ბაზრობაზე საფრანგეთში, განაცხადეს უწყებაში.

Sarke Information News, 18 მარტი 2016

ევროკავშირმა ქართული მატყლი ბაზარზე დაუშვა

ცხოველური წარმოშობის პირველი პროდუქტი, რომელიც საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე შევა, მატყლია, იუწყება Eugeorgia.Info. ამ ეტაპზე ევროკავშირმა მატყლის მწარმოებელი 2 კომპანია - შპს „ჯორჯიან ვულ“ და შპს „ქართული მატყლის კომპანია“ აღიარა. როგორც სტატია მოგვითხრობს, საქართველოდან ევროკავშირში მატყლის პირველი საცდელი პარტია 2015 წლის სექტემბერში გაიგზავნა „ქართული მატყლის კომპანიასა“ და Curtis wool direct limited-ს შორის გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, კომპანიას 25 ტონა მატყლი უნდა ეყიდა, 1 კგ 1,05 აშშ დოლარად (ამ ფასში შედიოდა ტრანსპორტირების ღირებულებაც). თუმცა, მატყლის პირველი პარტია, რომელიც ბრიტანეთში უნდა შესულიყო, საზღვრიდან უკან - საქართველოში დაბრუნდა. მიზეზი ის იყო, რომ მესამე ქვეყნების იმ ნუსხაში, რომლებიდანაც ევროკავშირში დაუმუშავებელი მატყლის შეტანაა ნებადართული, საქართველო არ იყო შეტანილი და არც „ქართული მატყლის კომპანიას“ ჰქონდა ევროკავშირის აღიარება. „ჩვენ აღიარების პროცესის დასრულებას ველოდით. Curtis wool direct limited-თან შეთანხმება ისევ ძალაშია. მათთვის საცდელი პარტიის გაგზავნას ისევ ვგეგმავთ. ბრიტანეთში ჩვენ მიერ ჩატანილი მატყლის გადამუშავების შემდეგ გავიგებთ, შედგება თუ არა ჩვენს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობა“ - ამბობს „ქართული მატყლის კომპანიის“ ხელმძღვანელი ზაურ კულიევი. „ჯორჯიან ვულს“ და შპს „ქართული მატყლის კომპანიას“ ამჟამად მატყლი ექსპორტზე ინდოეთში, უკრაინასა და ჩინეთში გააქვთ. ამ ქვეყნებში 1 კგ გაურეცხავი მატყლის ფასი 0,7 აშშ დოლარია. ამ ფასში შედის ტრანსპორტირების ღირებულებაც. (გამოქვეყნებულია 16 მარტს, 17:19 სთ).

Sarke Information News, 17 მარტი 2016

ჩაის წარმოება ქვეყანაში ყოველწლიურად 1 000 ტ-ით გაიზრდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი „საქართველოს ჩაი“ მიზნად ისახავდა ჩაის მრეწველობის რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში მოხდება როგორც კერძო და ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მიტოვებული პლანტაციების რეაბილიტაცია. როგორც გაზეთი იუწყება, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეცემათ სახელმწიფო თანადაფინანსება, რაც პროექტის მთლიანი ღირებულების 60%-ია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში 80% იქნება. როგორც პროექტის მენეჯერი ლევან უროტაძე აღნიშნავს, პროგრამის პრეზენტაცია უკვე ჩატარდა გურიასა და სამეგრელოში, ქვეყნის ძირითად მეჩაიეობის რეგიონებში, სადაც, მიახლოებითი შეფასებით, ჩაის პლანტაციები 9 000 ჰა-ზე არის დარჩენილი და აქედან 7 000 ჰა-ს რეაბილიტაცია შესაძლებელია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროგრამა 2 000 ჰა-ს რეაბილიტაციის საშუალებას მოგვცემს, რაც უზრუნველყოფს 1 000 ტ მზა პროდუქციას, აცხადებს უროტაძე. მისივე თქმით, ჩაის ფოთლის დეფიციტი არის

ყველაზე დიდი პრობლემა მეწარმეებისთვის (სტატია ქვეყნდება რუბრიკის „ბიზნეს პრესა“ ქვეშ, ანუ ფასიანია).
Sarke Information News, 15 მარტი 2016

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

Sevan Aqua აწარმოებს 685 ტონა თევზს წლიურად
სომხეთის მთავრობამ Sevan Aqua გაათავისუფლა ხუთშაბათს იმპორტის გადასახდელების გადახდისგან დანადგარებზე და ნედლეულზე, ასევე გადაუვადა 3 წლით დღგ-ს გადახდა, მას შემდეგ რაც კომპანიამ პირობა დადო, რომ მოახდენს 1,95 მილიარდი დრამის დანადგარების იმპორტს და აწარმოებს 685 ტონა თევზის პროდუქტებს წელიწადში. მინისტრის თქმით, კომპანია გეგმავს 16 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას 215 000 დრამი საშუალო ხელფასით და 2,4 მილიარდი დრამის გამომუშავებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში. მინასიანმა ასევე განაცხადა, რომ საერთო ჯამში ექვსი კომპანია, რომელთა საერთო ინვესტიცია, როგორც მოსალოდნელია, იქნება 50 მილიონი აშშ დოლარი, და რომლებიც შექმნიან 450 ახალ სამუშაო ადგილს, გათავისუფლებული იქნება საბაჟო გადასახდელების გადახდისგან. მინისტრის თქმით, ბევრ კომპანიას, რომელიც აცხადებს, რომ ჩადებს 186 მილიარდი დრამის ინვესტიციას და შექმნის 4 500 სამუშაო ადგილს, გადაუვადებენ დღგ-ს გადახდას. Sevan Aqua ერთ-ერთი კომპანიაა, რომელიც აწარმოებს კალმახს სევანის ტბაზე. ერთი თევზის მეურნეობა შეიქმნება წელს ტბაზე და 3 წლის განმავლობაში მისი პროდუქცია იქნება 685 ტონა თევზი წელიწადში. სამთავრობო პროგრამის ფარგლებში კალმახის წარმოებამ ტბაზე უნდა მიაღწიოს 50 ათას ტონას წელიწადში 10 წლის განმავლობაში. პროექტის საერთო ინვესტიცია შეფასებულია 66 მილიარდ დრამად (დაახლოებით 162 მილიონი აშშ დოლარი). (1 აშშ დოლარი - 480,73 დრამი).
ერევანი, 25 მარტი / ARKA /.

სომეხი მეწარმეები რძის ფხვნილის იმპორტის შემცირებას ითხოვენ
სომეხი მეწარმეები რძის ფხვნილის იმპორტის შემცირებას ითხოვენ, განუცხადა სამშაბათს ჟურნალისტებს „სამამულო პროდუქციის მწარმოებელთა კავშირის“ თავმჯდომარე ვაზგენ საფარიანმა. მისი თქმით, ახალი რძის წარმოება სწრაფად მცირდება სომხეთში დიდი რაოდენობით რძის ფხვნილის იმპორტის გამო და ეს გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე. საფარიანმა განაცხადა, რომ საჭიროა რძის ფხვნილის იმპორტის შემცირების საკითხის განხილვა სოფლის მეურნეობის მინისტრთან. „ეს გაზრდის სოფლის მცხოვრებლების ინტერესს მეცხოველეობისადმი და რძის პროდუქტების წარმოებისადმი და ასევე ხელს შეუწყობს სხვა საწარმოების, მაგალითად, ტყავის და ფეხსაცმლის წარმოების განვითარებას“, განაცხადა მან. საფარიანმა არ მიუთითა იმპორტირებული რძის ფხვნილის მოცულობა და მხოლოდ განაცხადა, რომ რძის მოცულობა სომხეთში გაიზარდა 4,2%-ით 2015 წელს და გახდა 448 მლნ ლიტრი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სომხეთში 447,9 მილიონი ლიტრი რძე იქნა წარმოებული 2015 წელს (4,2% ზრდა). აღსანიშნავია, რომ ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშები არ შეიცავს მონაცემებს რძის ფხვნილის იმპორტის შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს უკანასკნელი მონაცემებით,

დაახლოებით 688 ტონა რძის ფხვნილი ჩამოიტანეს სომხეთში 2015 იანვარ-მაისში, ე.ი. 38 ტონით ნაკლები, ვიდრე ამავე პერიოდში ერთი წლით ადრე.
ARKA, 22 მარტი

სომხეთის სასათბურე მეურნეობებს აქვთ მეტი შესაძლებლობები მათი ნაწარმის გაყიდვის თვალსაზრისით რუსეთში

სომხეთის სასათბურე მეურნეობებს აქვთ მეტი შესაძლებლობები, რომ გაყიდონ მათი პროდუქცია რუსეთში, „სამამულო პროდუქციის მწარმოებელთა კავშირის“ თავმჯდომარე ვაზგენ საფარიანმა განაცხადა დღეს. მისი თქმით, რუსეთის მიერ თურქული პროდუქციის აკრძალვამ ახალი შესაძლებლობები წარმოშვა სომხური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვისთვის რუსეთში. საფარიანმა მთავრობას მოუწოდა, რომ გაიზარდოს დახმარება ფერმერებისთვის და დაჩქარდეს სასათბურე მეურნეობების სამთავრობო პროგრამის მიღება. მისი თქმით, ხელისუფლებამ ასევე უნდა მისცეს გარკვეული შეღავათები სასათბურე მეურნეობებს ელექტროენერგიის და სარწყავი წყლის გამოყენებაზე. „კლიმატური პირობების უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით, რაც ხშირად იწვევს კულტურების დაზიანებას, სასათბურე მეურნეობა არა მხოლოდ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას და ექსპორტს, არამედ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოფლის ეკონომიკურ მდგომარეობას“, - განაცხადა საფარიანმა. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია 2015 წელს 11,7%-ით გაიზარდა 2014 წელთან შედარებით.
ARKA, 22 მარტი

45 ახალი კოოპერატივი უნდა შეიქმნას წელს სომხეთში ევროკავშირის დახმარებით

სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა მიიღო დელეგაცია ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხთა გენერალური დირექტორატის აღმოსავლეთ სამეზობლოს განყოფილების უფროსის მეტიუ ბუსკეტის ხელმძღვანელობით, აცნობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურმა "არმენპრესს“. სომხეთის სოფლის-მეურნეობის სექტორი, როგორც ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი, დინამიურად იზრდება ბოლო წლების განმავლობაში, რაშიც ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი პროექტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს", განაცხადა მინისტრმა მისასალმებელ გამოსვლაში. აღნიშნულ პროექტებს შორის მინისტრმა გამოყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD). მინისტრმა კარაპეტიანმა აღნიშნა, რომ სომხეთმა მიიღო კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" 2015 წელს და სამინისტროში შეიქმნა სტრუქტურული ორგანო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭრად. ამ წელს 45 კოოპერატივი დაარსდება ევროკავშირის დახმარებით.
ARMENPRESS, 16 მარტი.

სომხეთის ანტიმონოპოლიურმა სააგენტომ ფასწარმოქმნის პროცესების მონიტორინგი უნდა განახორციელოს ციტრუსის ბაზარზე

სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელმა არტაკ შაბოიანმა სამშაბათს ეროვნულ ასამბლეაში განაცხადა, რომ კომისია დეტალურად შეისწავლის ფასწარმოქმნის პროცესებს ციტრუსის ბაზარზე. მისი თქმით, კომისია ატარებს ფასების მონიტორინგს ბაზარზე, რათა გაირკვეს, რა პრობლემაა ამ

სფეროში. „უნდა აღვნიშნო, რომ ის ფაქტი, რომ ციტრუსი სეზონური პროდუქტია, მხედველობაში მიიღება, როგორც ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პროცესზე," განაცხადა მან. მისი თქმით, არაფერი არ ზღუდავს ბანანის ახალი იმპორტიორების გაჩენას სომხეთში. უფრო მეტიც, 2015 წელს ცხრა ახალი მცირე და საშუალო იმპორტიორი გამოჩნდა სომხეთის ბანანის ბაზარზე, მაგრამ ისინი პროდუქციის იმპორტს ახდენდნენ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნებიდან. ბანანის იმპორტი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნებიდან არ არის ძალიან მომგებიანი ბიზნესი ბანანის ტრადიციული მწარმოებელი ქვეყნებიდან იმპორტთან შედარებით, აღნიშნა შაბოიანმა. ეს ფაქტი მან დაასახელა, როგორც სომხეთის ბაზრის თავისუფლების მტკიცებულება. ბანანის იმპორტი სომხეთში ხორციელდება Catherine Group-ის მიერ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 9 106 800 აშშ დოლარის 12 057,6 ტონა ბანანი იქნა იმპორტირებული სომხეთში 2014 წელს, მაშინ როდესაც 9886,1 ტონა (11 090 700 აშშ დოლარი) იყო 2013 წელს.
ARKA, 16 მარტი.

მევენახეები ისევ აწყობენ საპროტესტო აქციებს სომხეთში

ათობით მევენახემ გადაკეტა ძირითადი გზატკეცილი სომხეთში სამშაბათს. მათ წამოიწყეს ახალი საპროტესტო აქცია ადგილობრივი ღვინის საწარმოს წინააღმდეგ ყურძნის საფასურის გადაუხდელობის გამო გასული წლის შემოდგომაზე შესყიდულ ყურძენზე. კერძო კომპანიამ, რომელიც კაღცრაშენში (სოფელი სამხრეთ არარატის პროვინციაში) შეიქმნა, შეიძინა ამ წლის სექტემბერ-ნოემბერში დაახლოებით 200 მილიონი დრამის (410 000 აშშ დოლარი) ღირებულების ყურძენი 100-ზე მეტი სოფლის მცხოვრებისგან, რომლებიც ფლობენ მცირე ვენახებს. ღირებულება ჯერ კიდევ არ არის გადახდილი, იმ მოტივით, რომ დიდი ზარალი მიიღეს რეცესიის გამო რუსეთში, ძირითად საექსპორტო ბაზარზე სომხეთის ღვინის და კონიაკისთვის. სომხური ღვინის რამდენიმე სხვა საწარმომ ასევე ვერ შეძლო გადახდა დროულად, რამაც მსგავსი საპროტესტო აქციები გამოიწვია არარატის და მეზობელი არმავირის პროვინციის სხვა სოფლებში ბოლო რამდენიმე თვეში. სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა ყურადღება არ მიაქცია საპროტესტო აქციებს დეკემბრის ბოლოს და განაცხადა, რომ ყურძნის 80 პროცენტზე მეტის საფასური ფერმერებმა უკვე მიიღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. კარაპეტიანი ამტკიცებდა, რომ მეწარმეების დიდმა ნაწილმა გაზარდა ფერმერებისგან ყურძნის შესყიდვების მოცულობა 2015 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ რუსული რუბლის მკვეთრი გაუფასურებით გამოწვეული ფინანსური პრობლემები. გაბრაზებულმა ფერმერებმა კაღცრაშენში გადაკეტეს გზატკეცილის ერევნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე მონაკვეთი მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ლიქიორის საწარმომ ვერ გადაიხადა საფასური გასულ თვეში მათ მიერ დადგენილ ბოლო ვადაში - 15 მარტს. მანამდე მათ პირობა დადეს, რომ გადაიხდიდნენ ყურძნის საფასურს 1 თებერვლისთვის. "მე მოვახდინე მთელი ჩემი ფულის - 600 000 დრამის ინვესტიცია ყურძენში და ჯერ კიდევ არ მიმიღია არაფერი სანაცვლოდ," განუცხადა ერთ-ერთმა მონაწილემ სოს ვართანიანმა RFE/RL-ს სომხეთის სამსახურს (Azatutyun.am). მან განაცხადა, რომ ეკუთვნის 3,5 მილიონი დრამი (7 200 აშშ დოლარი). ვართანიანმა გაყიდა ყურძენი საშუალოდ 100 დრამად (21 აშშ ცენტი) კილოგრამზე. ზოგიერთმა მისმა თანასოფლელმა ამ ფასის ნახევარზე ნაკლებ ფასად გაყიდა ყურძენი. მაგრამ მათაც არავინ არ გადაუხადა ჯერჯერობით. მიმოსვლა გზაზე განახლდა იმ დღესვე გვიან მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობის მინისტრის ორმა მოადგილემ და ღვინის საწარმოს წარმომადგენლებმა დაარწმუნეს მომიტინგეები, რომ ისინი

მიიღებდნენ საფასურს ერთი თვის ვადაში. ფერმერები დათანხმდნენ, რომ დაიშლებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი სკეპტიკურად უყურებდა ამ დაპირებას. სოფლის მცხოვრებმა კამო არარატიანმა, რომელსაც 3,5 მილიონი დრამი ვალი აქვს, განაცხადა, რომ უკვე დაიწყო 3 700 კვადრატული მეტრი ვენახის აჩეხვა, რომ გადავიდეს სხვა კულტურებზე, რადგან მას აღარ სჯერა, რომ შეუძლია იცხოვროს მევენახეობით. „მე არ მაქვს სხვა არჩევანი“, განმარტა არარატიანმა, „თუ კი ვენახი არ ფარავს მოვლის ხარჯებსაც კი, რატომ უნდა შევინარჩუნო ის?“ „ტელევიზიით ყოველდღე აცხადებენ, რომ სოფლის მეურნეობა გაიზარდა 11 პროცენტით გასულ წელს“, - განაცხადა ფერმერმა. „მაგრამ სოფლის მცხოვრებლები მუშაობდნენ მთელი წლის განმავლობაში და არ გრძნობენ ამ ზრდას. როგორც ჩანს ეს მხოლოდ სოფლის მეურნეობის მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა იგრძნეს“.
16 მარტი, Radio Free Europe/Radio Liberty

სომხეთის სოფლის მეურნეობის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 11,7%-ით 2015 წელს
სომხეთის სოფლის მეურნეობის წარმოების მთლიანი მოცულობა გაიზარდა 11,7 პროცენტით 2015 წელს და შეადგინა 1 ტრილიონ 2 მილიარდი დრამი (1 დრამი - დაახლოებით 2,04 აშშ დოლარი), სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა განაცხადა დღეს გამართულ სამთავრობო კონსულტაციებზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობის საკითხზე. 2015 წელს სასოფლო-სამეურნეო მიწის მიზნობრივი გამოყენება გაიზარდა 78,8 პროცენტით, დასძინა მან. მთავრობის განკარგულებით ფერმერებმა მიიღეს სესხი 14 პროცენტად, საიდანაც 6 პროცენტი სუბსიდირებულია. საერთო პორტფელი სუბსიდირებულ სესხებზე შეადგენს დაახლოებით 15,2 მილიარდ დრამს 2015 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელმა კომპანიებმა შეისყიდეს 43,5 ათასი ტონა ბოსტნეული, 27,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 2014 წელს და 20,6 ათასი ტონა ხილი, 48,3 პროცენტით მეტი, ვიდრე 2014 წელს. 2015 წელს 76,7 ტონა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი განხორციელდა რესპუბლიკიდან, მათ შორის იყო 34,4 ათასი ტონა ხილი და კენკრა და 21,3 ათასი ტონა გარგარი. პარლამენტარმა ჰოვიკ აბრაჰამიანმა მოუწოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს, რომ განაგრძონ ვიზიტები რეგიონებში, და დისკუსიები ბიზნესმენებთან. მან ასევე დაავალა მათ გაეცნონ პრობლემებს პროვინციებში და გადაწყვიტონ ისინი.
News.am, 12 მარტი

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2016 წლის თებერვლის #42 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.
www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე: **www.dwvg.ge**

Agro & Food Up-to-Date
Agro&Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/